შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 22933

30/04/2014

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - სასაქონლო ნიშნის „Хлебный Дар“ სსიპ _ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ1“ ქვეპუნქტისა და პატენტრწმუნებული ვ.ტოროტაძის მ/წლის 23 აპრილის N 56565/21 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაგრძელდეს სვიატოსლავ იგორევიჩ ნეჩიტაილოს (მის.: უკრაინა, 01001, კიევი, ქუჩა ზანკოვეცკა 4, ბ.27) და შპს „არყის ეროვნული კომპანიის“ (მის.: უკრაინა, 19632, ჩერკასის ოლქი, ჩერკასის რაიონი, სოფელი სტეპანკი, ხმელიანსკის გზატკეცილი, მე-8 კმ. 2) კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის - სასაქონლო ნიშნის **„Хлебный Дар“** სსიპ - შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის ვადა 2016 წლის 25 აპრილამდე.

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთი თვის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი